

სოფიო ცირეკიძე

PR და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის მედიის სკოლა

ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია

საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო, თუმცა Erasmus+ პროგრამის ფარგლებში მიღებულმა გამოცდილებამ მოლოდინს გადააჭარბა. კავკასიის უნივერსიტეტის დახმარებით ერთი სემესტრი გავატარე გერმანიაში, ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (HTWK Leipzig), საერთაშორისო მენეჯმენტის მიმართულებით.

ახალ აკადემიურ გარემოზე მორგებამ, სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან ურთიერთობამ და განსხვავებული კულტურული ღირებულებების შეცნობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩემზე. პროგრამის ფარგლებში ევროპის არაერთ ქვეყანაში მოგზაურობის შესაძლებლობაც მქონდა, რამაც ჩემი ხედვები საგრძნობლად გააფართოვა. უცხო ქვეყანაში დამოუკიდებლად ცხოვრებამ და ყოველდღიურმა გამოწვევებმა პიროვნულად გამზარდა, გავხდი უფრო თავდაჯერებული, გახსნილი, მიზანდასახული.

ეს სემესტრი ჩემთვის მხოლოდ აკადემიური გამოცდილება არ ყოფილა, ეს იყო შესაძლებლობა საკუთარი თავის უკეთ გაცნობისა და სამომავლოდ წარმატებისკენ შეუჩერებლად ლტოლვის გარანტის.